# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 27 ივნისი. 2017 წ. №127 (8264), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ურცხვებისა და უტიფრების გასაგონად!



## ვინც „ოცნებას“ ებრძვის, ის „ნაცების“ საქმეს აკეთებს

3

## უდუმაშვილი აგებს, სამაგიეროდ, პარტია იგებს; ხოშტარია აგებს, პარტიაც აგებს...

4





## გივი ჩოხელი - ყველგან და ყოველთვის საიმედო

6

მკითხველი მხარს გვიჭერს

## „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“...

5

# ფახიფუხი გორგასლის ცხენის გავის უკან




### „ოლიგარქიულ მმართველობაზე“ გაბრაზებული ცრუჟურნალისტ-დიქტორი ცრუმერობას აპირებს, ანუ ნაციონალთა ბრძოლა უსინდისობის უკანასკნელ წვეთამდე

— ნახე, გუშინ, რა ფართხალი და წიოკი ჰქონდათ გორგასლის ცხენის გავის უკან მეტეხის ტაძრის ეზოში ნამუსგარეცხილი ნაციონალების სამარცხვინო ნარჩენებს?

— ვნახე, ვნახე. საეჭვოდ სტრასბურგგადაფოფრილი „ცრუსთავი-2“ რა, მაგის უნახავს დაგვტოვებდა?!

— ნახე, რა დღეში იყო განგსტერი სააკაშვილის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, საქართველოში მინისტრობამდე რუსეთის მოქალაქე?

— ვნახე, ბატონო, ვნახე! ისე, ჩვენში დარჩეს, იაპონიის იმპერატორს მარტო მაგის ცოლისთვის ანანიაშვილისთვის კი არ უნდა მიენიჭებინა ჯილდო, როგორც გამოჩენილი ბალერინასთვის, ეგ ჯილდო ვაშაძესაც ეკუთვნოდა, როგორც სააკაშვილის ანტიქართული პოლიტიკის ბალერონისთვის. იმ შავი წლების მანძილზე ხომ ცეკვავდა და ცეკვავდა ჯერ იქ და ახლა უკრაინაში თავმოჭრილი გიულის ბიჭის დაკრულზე, იცოცხლე, არც ამჟამად იშლის თავისას.

— თვითონ გიულიც ხომ ნახე, ალასანიას ქალი, პირველ რიგში წამოსკუპებული? მიკვირს, მზია ბებიაც რომ არ უმშვენებდა გვერდს!

— ვნახე, ბატონო, ვნახე... აბა, რა გეგონა?! ივანიშვილის დემოკრატიამ ახალი პოლიტიკური ძალ-ღონე შთაბერა პოლიტიკურად დამნაშავე ნაციონალებს, რომლებმაც ახალი ტაქტიკა და სტრატეგია შეიმუშავეს, რამდენიმე ფრონტად ჩამოყალიბდნენ და ვითომ ძველ გამოუსწორებელ დანაშაულზე ჭკუანასწავლნი, აგერ, ბატონო, თვითონ თავიანთი გადამრჩენელი ოლიგარქის გასანადგურებლად იბრძვიან არა მარტო თბილისის, არამედ სრულიად საქართველოს გადასარჩენად.

— ეგრეა, ეგრე, ვისაც თავის დროზე ჩააცვა და დაახურა, ახლა სწორედ ისინი უპირებენ გახდას, და კიდევ რა აქვთ ჩათესლილი დაბოღმილ გულში, კაცმა არ იცის.

— მარგველაშვილიც მართლა პლასტილინისა ეგონა, მაგრამ თურმე რეზინისა ყოფილა, ნაციონალების ჭკუაზე იწელება და იკუმშება.

— მოდი, ახლა შენ და ცრუჟურნალისტ-დიქტორის უდუმაშვილის თავხედობა გაგიკვირდეს! რისამე დაწერაზე რომ მიდგეს საქმე, ეგ, ალბათ, თავის ავტობიოგრაფიას უშეცდომოდ ვერ დაწერს, თუ საერთოდ დაწერა მოახერხა, არადა, ხომ მოუსმინე „მიშიაკით“, ანუ ნაციონალური დარიშხანით გაჟღენ-



თილმა ქეთუსია იგნატოვამ და მაცაცო კომპოზიტორმა ცაში აიყვანეს, როგორც გონებაგაბდღვრიალებული „ცრუსთავორელი“ ჟურნალისტი.

— არა, თვითონ რაც იტრაბახა და იბაქიბუქა, მე შემიძლია, მე შემიძლიაო, ნამდვილად გაუგონარია.

— შენ რა, მართლა ხომ არ გგონია, რომ თავისი დაწერილი ტექსტით მიმართა გორგასლის ცხენის ზურგს უკან შეკრებილ არჩევნებში გამარჯვების მომლოდინე ნაციონალთა ოჯახების ტაშით ხელისგულებგადაყვლეფილ წევრებს, რომელთაც ჯერ კიდევ კარგა ხანს არ დაელევათ ძველი ათწლიანი ნაძარცვი და სწორედაც გაქესტობამდე წამოიწყეს ეს სამარცხვინო ჩოჩქოლი.

— თანაც, ხომ გესმოდა, მეოცნებეთაგან თურმე მიწასთან გასწორებული თბილისის გადარჩენას შეგვპირდა.

— მარტო გადარჩენას კი არა, გასამოთხებას. თავისი ძველთბილისელობის დასამტკიცებლად ამ ცრუჟურნალისტ-დიქტორმა მშობლების საფლავებიც კი მოიშველია. მე როგორც მეოცნებეთაგან და, კერძოდ, ივანიშვილისგან გაჩანაგებული თბილისის გაბრაზებული მოქალაქე, ამ გაჩანაგების გამო გაბრაზებულივე თბილისელების მერი ვიქნებიო.

— მოკლედ, პოლიტიკური ნაძირალა ნიკანდრო მელიასთან ერთად იმდენი და ისეთ დონეზე იფახიფუხა გვარამიას კუდუსუნმა, მე შევძლებ... მე შევძლებო, რომ მალე (თუ როგორმე იმათ ყურამდეც მივიდა ეს ფახიფუხბაქიბუქი), თბილისელები ჯანდაბას, ემანდ, ვაშინგტონელები, ლონდონელები, პარიზელები და ბერლინელებიც არ შეცდნენ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით არ მოითხოვონ მერად ეს უნამუსო და უთავმოყვარეო უდუმაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარედ ასევე უნამუსო მელია, რომელსაც თბილისი უთუოდ ერთ „გაკუება“ საქათმედ წარმოუდგენია, ხოლო თბილისელები ქათმისტვინა ამომრჩევლები ვგონივართ.

— ერთი სიტყვით, ნაღდო თბილისელებო, ერთი წამითაც არ უნდა ვიგულმავიწყოთ, რომ, დიდად სამწუხაროდ, თავიანთი ათწლიანი დანაშაულის გამო სხვათა და სხვათა მაცდურ ფეხის ხმას აყოლილი ამჟამინდელი მართლაც თავისებურად ლაყე ხელისუფლებისგან დღემდე შესაბამისად დაუსჯელი ნაციონალები უსინდისობის უკანასკნელ წვეთამდე აპირებენ ბრძოლას.

— ახლა მთავარია, წინ ვიყუროთ და წინ ვიაროთ, უკან მხოლოდ და მხოლოდ ისევ ნაციონალური პოლიტიკურ-სოციალური სიბინძურე გველოდება... არჩევანი ჩვენზეა!

მეოცნებეთა ლიბერალურ-დემოკრატიულობაზე გულმოსულ მოქალაქეთა დიალოგი გუშინ ჩაიწერა

**გურამ წიკლაურმა**


თემის გაგრძელება იხ. 4 გვ.



## მიკროსადგურების დიდი პოტენციალი

**პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი „ექსპოჯორჯია“-ში გამართულ პრეზენტაციას — „ნეტო აღრიცხვის რეგულირება საქართველოში“ დაესწრო. მიკროსიმძლავრის სადგურების სისტემის ამოქმედებით, საქართველოში მცხოვრებ ყველა ოჯახს აქვს შესაძლებლობა, საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაამონტაჟოს განახლებად ენერგიაზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური. გამომუშავებული ელექტროენერგია კი — თავადვე მოიხმაროს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამომუშავებული ელექტროენერგიის გახარჯვა სრულად ვერ მოხდა, მომხმარებელი მას ნეტო აღრიცხვის ქსელში გაუშვებს.**

პრეზენტაციაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ. ღონისძიებას ასევე დაესწრო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე. პრეზენტაციის შემდეგ პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ ენერგოეფექტურობის მხარდასაჭერად საგადასახადო კოდექსში ინიცირებულ ცვლილებებს ამჟამად პარლამენტი განიხილავს. მისი განცხადებით, ცვლილებების მიხედვით, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების მფლობელები ჭარბი ელექტროენერგიის გაყიდვისას საშემოსავლო და მოგების გადასახადს არ გადაიხდიან.

## განახლებად ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურის დამონტაჟებას ყველა ოჯახი შეძლებს!



**მიკროსიმძლავრის სადგურების სისტემის ამოქმედებით, საქართველოში მცხოვრებ ყველა ოჯახს აქვს შესაძლებლობა, საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიაზე განახლებად ენერგიაზე მომუშავე მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური დაამონტაჟოს, გამომუშავებული ელექტროენერგია კი თავად მოიხმაროს,** — ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ „ექსპოჯორჯია-ში“ გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ გამომუშავებული ელექტროენერგიის გახარჯვას სრულად ვერ შეძლებს, მომხმარებელი მას ნეტო აღრიცხვის ქსელში გაუშვებს.

**„ნეტო აღრიცხვა ეს არის, პირველ რიგში, დემონსტრირება მოქალაქის და სახელმწიფოს ურთიერთსასარგებლო კომუნიკაციის, მეორე რიგში კი, თანამედროვე, ევროპული ცხოვრების და შემოსავლის მოძიების სტილი,** — აღნიშნა კალაძემ.

## ორთვიანი წინასაარჩევნო კამპანია ოპტიმალური ვარიანტია

**უახლოეს დღეებში ჩატარდება პოლიტსაბჭოს სხდომა, ვიმსჯელებთ და შესაბამისად, ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც მივიღებთ, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება** — აცხადებს ვიცე-პრემიერი მერობის კანდიდატად მის დასახელებასთან დაკავშირებული კითხვის საპასუხოდ.

**„სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ბევრი დრო გვექნება და ბევრი შესაძლებლობა რომ ამ საკითხებზე ვისაუბროთ“,** — განუცხადა ჟურნალისტებს კახი კალაძემ.

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას. კალაძე თვლის, რომ სამი თვით ადრე კამპანიის დაწყება ამომრჩევლის შეწუხებაა და ორთვიანი წინასაარჩევნო კამპანია ოპტიმალური ვარიანტია. კალაძეს მიაჩნია, რომ ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანიის ვადების დარეგულირებაც უნდა მოხდეს.

## ნიკა მელიას პარლამენტში ბადრი ბასიშვილი შეცვლის

**ენმ-ის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატ ნიკა მელიას ადგილს საქართველოს პარლამენტში ბადრი ბასიშვილი დაიკავებს.**

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ნიკა მელია საქართველოს პარლამენტს ტოვებს. მისი განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობიდან“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატი იქნება.

**„ჩემო მეგობრებო, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო პარლამენტი და ვიბრძოლო თბილისის საკრებულოდან. დღეს თქვენს წინაშე ვაცხადებ, ჩემი და ჩემი მეგობრების და ჩემი პოლიტიკური გაერთიანების გადაწყვეტილებას, რომ კენჭი ვიყარო თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის პოსტზე“,** — განაცხადა მელიამ.

## „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს



**„ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში გამარჯვების შანსი არა აქვს“,** — ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფო კილაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, მმართველი გუნდის მერობის კანდიდატი კახი კალაძე უალტერნატივოა.

## 94-ე მუხლი ეჭვქვეშ აყენებს პარლამენტის ძირითადი ფუნქციის განხორციელებას!



ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გია ჟორჟოლიანმა განაცხადა. კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით ფრაქციის წევრებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

**„ჩვენი აზრით, სრულიად ცხადია, რომ 94-ე მუხლი ეჭვქვეშ აყენებს პარლამენტის მიერ მისი ძირითადი ფუნქციის განხორციელებას — წარმომადგენლობითობით კანონშემოქმედებასა და საშინაო პოლიტიკის განსაზღვრას. ამიტომ ვთვლით, რომ ამ ცვლილების გადადებისთვის მიზეზი არ არსებობდა.**

**ვინაიდან მიგვაჩნია, რომ 94-ე მუხლის დატოვება წინა რეჟიმის მიერ შექმნილი, ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო ეკონომიკური და მმართველობითი პოლიტიკის ინერციაა, მის შესაცვლელად ბრძოლას პოლიტიკური მეთოდებით გავაგრძელებთ. ეს ბრძოლა და მუშაობა რა ფორმით წარიმართება, ამის შესახებ განცხადებას მოგვიანებით გავაკეთებთ. სავალუტო ფონდმა შეთანხმებაშიც კი, რომელიც მან საქართველოს მთავრობასთან დადო, პირდაპირ ჩაწერა, რომ ეს ხელს უშლის სახელმწიფო პოლიტიკას ეკონომიკურ და ფისკალურ სფეროში. ვფიქრობ, რომ ეს იყო შეცდომა“,** — განაცხადა ჟორჟოლიანმა.

## საქართველოს პარლამენტი მიმდინარე კვირაში საგაზაფხულო სესიის ფორმატში მუშაობას დაასრულებს

საქართველოს პარლამენტი მიმდინარე კვირაში საგაზაფხულო სესიის ფორმატში მუშაობას დაასრულებს. საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება და ივნისის ბოლო პარასკევს იხურება. მიმდინარე კვირა პლენარულ სხდომებს დაეთმობა, 30 ივნისს კი, საგაზაფხულო სესია სახელმწიფო ჰიმნით დაიხურება. საგაზაფხულო სესიის დახურვის შემდეგ შესაძლოა, ივლისში რიგგარეშე სხდომები გაიმართოს.

ბოლო მნიშვნელოვანი აქტი, რომელიც პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული კანონპროექტია. საპარლამენტო უმრავლესობამ ცვლილებები მეორე მოსმენით. ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე, 115 ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღო.



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ოსური ენისა და ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი**



## ნაფი ჯუსოითი

**და თანაგრძნობას უცხადებს მეცნიერის ოჯახსა და ახლობლებს**

## კანადელი მერაბ ტაბიძე თბილისის მერობისთვის ბრძოლას აპირებს



**თუ მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები მოაგვარა, მაშინ მერაბ ტაბიძე პირველი ქართული წარმომავლობის უცხოელი მოქალაქე იქნება, რომელიც 2017 წლის ოქტომბრისთვის დანიშნულ თბილისის მერის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას,** — ამის შესახებ „რადიო თავისუფლება“ წერს.

**„ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მე მივიღე 26 წლის განმავლობაში, როგორც კანადის მოქალაქემ, სასარგებლო იქნებოდა მიგვემართა ჩვენი საყვარელი ქალაქის მომავლისა და განვითარებისათვის“,** — აცხადებს მერაბ ტაბიძე. კანადის ქალაქ კალგარის პოლიციის „ქართველმა“ შერიფმა აღნიშნული გადაწყვეტილება სულ რამდენიმე კვირის წინ მიიღო და საკუთარი განზრახვა „რადიო თავისუფლებას“ მესიჯით აცნობა, რასაც აღნიშნული ექსკლუზიური სატელეფონო ინტერვიუც მოჰყვა.

## ენგურის ხიდზე, შესაძლოა, ოთხთვალების მოძრაობა აიკრძალოს

**ოკუპირებული გალის ე.წ. ადმინისტრაცია ენგურის ხიდზე ოთხთვალების მოძრაობის აკრძალვაზე მსჯელობს. „გალ ტევეს“ ინფორმაციით, დე ფაქტო ადმინისტრაციაში მიიჩნევენ, რომ „სახელმწიფო საზღვრის გადალახვის საშუალებად, ოთხთვალების გამოყენება, ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახება, მით უმეტეს როცა, მგზავრთა გადასაყვანად ამ მონაკვეთზე მიკროავტობუსიც არის დანიშნული“.**

ადგილობრივი მედიის წარმომადგენელი აქვე ამბობს, რომ „ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად“. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ პერიოდში, დღემდე, ოთხთვალა ენგურის ხიდზე გადაადგილების ყველაზე აქტუალური და იაფი საშუალებაა.

## ნარკოტიკების მოხმარებისთვის მსჯავრდებული პირები, შესაძლოა, გათავისუფლდნენ

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძის ინფორმაციით, ნარკოტიკების მოხმარებისთვის მსჯავრდებული პირები, პარლამენტის მიერ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული პაკეტის მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ.

**„კანონმდებლობით დგინდება მცირე ოდენობები შენახვის და მოხმარების მიზნით, ასევე, დიდი ოდენობები იმ 143 პრეპარატზე, რომელიც აქამდე დადგენილი არ იყო და თუნდაც უმცირესი რაოდენობით ამ პრეპარატების აღმოჩენა იწვევდა ადამიანების წლობით ციხეში გაშვებას. შესაბამისად, ეს ცვლილება ასევე შეეხება ადამიანებს, ვინც იმ მიზეზის გამო, რომ მათ აღმოუჩინეს უმცირესი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ან ნარკოტიკული ნივთიერების კვალი და დღეს ბრძანდებიან ციხეში. ასეთი ადამიანები გათავისუფლდებიან სასამართლოს მეშვეობით“,** — განაცხადა ზოიძემ.

# ვინც „ოცნებას“ ებრძვის, ის „ნაცების“ საქმეს აკეთებს



**წერილი IV**

**საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ რა არის რეორგანიზაცია, თვისებრივი განახლება და პროგრამებისა და გეგმების ახალ რეალობაზე და ახალ გამოწვევებზე მისადაგება, მმართველმა პარტიამ გვაჩვენა ბოლო საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში (2015-2016 წლები) – ახალი სახეები, მაღალი კვალიფიკაცია და ახალი იდეები დღეს „ქართული ოცნების“ საფირმო ნიშანია. ეს პროცესი ახლაც გრძელდება და იგი განახლების პროცესისთვის დამახასიათებელი ხარვეზების გამოსწორებასაც გულისხმობს.**

**სამწუხაროდ, თავს უნდა გამოვუტყდე, რომ ქართული პოლიტიკის სენია ამპარტავნება, ანგარება და ცოდნის დეფიციტი (დაბალი კვალიფიკაცია, არაპროფესიონალიზმი), თავისი ყველა გამოვლინებით. ისიც ნათლად ჩანს, რომ პრინციპებისა და პოზიციის არქონა კომპენსირდება შესაშური მოქნილობითა და ლავირების საოცარი უნარით (ურცხვობისა და უტიფრობის ხარისხს ვგულისხმობ).**

ფაქტია, რომ ათეული წლებია, გარკვეული „პოლიტიკური ძალები“ ახერხებენ სარფიანად ივაჭრონ და ამით უზრუნველყონ პირადი კეთილდღეობაც და არცთუ მოკრძალებული ადგილი პოლიტიკური მზის ქვეშ. ბიძინა ივანიშვილის და მის მიერ დაფუძნებული „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებამ, უარი ეთქვა სატელიტების მომსახურებაზე, ყველა ფსევდოპარტია, მთელი ეს პოლიტიკური ჭუჭყი უმძიმეს დღეში ჩააგდო.

იმავეს თქმა შეიძლება ე.წ. არასამთავრობო სექტორზეც და პოლიტიკურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტთა დიდ უმრავლესობაზეც. ამ პოლიტიკურ-ჟურნალისტური ამქარის ხელისუფლებებთან ურთიერთობის „ნოტებზე აწყობილმა“ ტექნოლოგიებმა - „მხარი რომ დაგიჭირო, რას გადაიხდი“ და „რომ არ ვიხმაურო, რას გადაიხდი“ – აზრი დაკარგა. არალეგალური პოლიტიკური ბაზარი ერთი ხელის დაკვრით მოკვდა.

ერთადერთი, ვინც შეიძლება ამ „ტექნოლოგიებში“ გადაიხადოს, „ნაციონალური მოძრაობა“ და ის ინტერესჯგუფებია (შიდა თუ გარე), რომელთაც წარსულში დაბრუნება ენატრებათ. ეს ყველაფერი ძალზე თვალსაჩინოა, რადგან ხილული ფაქტია, რომ ზემოხსენებული ჭუჭყი „ნაცებისკენ“ მიიხვეტა და ამ უკანასკნელთაც დიდი აუქციონი აქვთ გამართული „რუსთავი-2“-ის სტუდიაში, რომელსაც საზოგადოებას აწვდიან, როგორც სახეს „დემოკრატიის ერთადერთი საყრდენისა“ (ეს ფრაზაც ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ერთგვარი პაროლია, პოლიტსცენაზე რომ როლის თამაშის უფლება მიიღონ).

**ხილული ფაქტია ისიც, რომ „ყველა დანარჩენი“ ერთხმად და ერთნაირი „არგუმენტებით“ უპირისპირდება „ქართული ოცნების“ ყველა მნიშვნელოვან ინიციატივას (ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე). მაგალითისთვის, წინ დროშად გამოტანილი ე.წ. პრეზიდენტის „მოღვაწეობაც“ კმარა: ათიდან ათჯერ რომ არ ეთანხმები შენი, როგორც პრეზიდენტის „წამომტივტივებლის“ – „ოცნების“ ხელისუფლების პოზიციას და ათიდან ათჯერ „ნაცების“ ტექსტით და „ნაცების“ ტონალობაში რომ ღიღინებ – ამით დაწყებული და – ე.წ. „პირველი ლედი“ რომ დამნაშავე პარტიის რუპორ-ტელევიზიის ისეთივე სახეა, როგორიც გვარამია, უდუმაშვილი, ჟორჟოლიანი და ა.შ. - ამით დამთავრებული, მეტი რაღა სიღრმეებში სიარულია საჭირო?**

პირველად მოხდა, რომ ვენეციის კომისიამ მთლიანობაში დადებითი შეფასება მისცა საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტს – „საქართველო უახლოვდება ძალიან კარგ კონსტიტუციას, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ სტანდარტებთან“ (ჯანი ბუკიკიო).

სწორედ ეს შეფასებაა „ოპოზიციისთვის“ ის მწარე რეალობა, რომელიც მას ჩიხში აქცევს: თანამედროვე, ევროპულ სტანდარტებზე მოწყობილი ქვეყანა არ შეიძლება იყოს მათი ასპარეზი. მათი ასპარეზია ე.წ. ბანანის სახელმწიფო, რომელიც ვიღაცის (მაგ. სააკაშვილის) ნება-სურვილით იმართება და რომელიც, ამ ვიღაცის მეშვეობით, კიდევ ვიღაცის (მაგ. ვისაც და რასაც წარმოადგენდნენ ქვეყნის დაცემის, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს „შემოქმედები“, სინქრონში მოქმედი მეთიუ ბრაიზა და თემურ ალასანია) ინტერესებს მსახურებს და ყველაფერ ამაში თავისი „ძვალი“ შეიძლება მოიპოვონ.

კარგ, ევროპულ ქვეყანაში წარმატების საწინდარია ცოდნით და სიყვარულით საქმის კეთება, რადგან ევროპული ქვეყანა კონკურენტულ გარემოში საკუთარი სიმართლის გატანას გულისხმობს. ზემოთ სიტყვა „ვალი“ შემთხვევით არ მიხსენებია. როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის არჩევნებისთვის ბარიერის 3%-მდე დაწევა დააანონსა, ყველა მაჩანჩალა „ბრმად“ აჰყვა „ნაცების“ და მათი „ექსპერტების“ მიერ შემოგდებულ შეფასებას – ხელისუფლებამ „ძვალი“ გადმოაგდოო. არადა, თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ინაშვილისთვის, შავგულიძისთვის, შარტავასთვის, ნიჟარაძისთვის, ბერძენიშვილებისთვის, უსუფაშვილისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება ერთადერთი შანსია (ნათელაშვილი არ გამომრჩენია, უბრალოდ, მას თავისი „კარმუშკა“, ყველა შემთხვევაში, შიგნით იქნება თუ გარეთ, გარანტირებული აქვს.)

**იმ პარტიებისთვის, რომლებიც 2-5%-ის ფარგლებში ტივტივებენ, ობიექტურად, ბარიერის სიმაღლე გაცილებით მნიშვნელოვანი თემაა, ვიდრე საარჩევნო სისტემა. რამდენიც არ უნდა იბაქიბუქონ, მათთვის, 5%-ის დატოვების შემთხვევაში, შერეული სისტემაც აზრს კარგავს და პროპორციულიც. თუ ოდნავი დამოუკიდებლობა შერჩათ, უნდა გააცნობიერონ, რომ სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლამდე, აღნიშნული საფეხურის ჩართვა, პირველ რიგში, მათ ინტერესშია.**

ძნელია იმის უარყოფაც, რომ პროცესის ორსაფეხურიანი განვითარება „ოცნების“ ინტერესშიცაა და ერთადერთი, ვისაც გეგმები სერიოზულად აერევა, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფებია. შენებაზე ორიენტირებული ხელისუფლების (ყველა ნიშანია იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ასეთ ხელისუფლებად ჩაითვალოს) ინტერესშია, რომ მაქსიმალურად განვითარდეს პარტიული სისტემა, რადგან კონკურენცია წინსვლის ერთადერთი პირობაა. გარდა ამისა, ხელისუფლების (ყველა ხელისუფლების) ამოცანაა, შექმნას ყველა შესაძლო პირობა გარანტირებული სტაბილურობისთვის, რათა ქვეყნის მდგრად განვითარებას საფრთხე არ შეექმნას.

ორსუბიექტიან პოლიტიკურ სისტემაში, როცა ერთ-ერთი გახლავთ სხვადასხვა სისტემურ დანაშაულში მრავალგზის მხილებული სუბიექტი, სტაბილურობა მყიფეა. პრობლემის აღმოფხვრა მოკლევადიან პერსპექტივაში, როცა ცნობილი მიზეზების გამო პოლიტიკურ დამნაშავეებს არ იჭერ და „თავებს არ აყრევინებ“, შეუძლებელია. ვფიქრობ, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ გათვლა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაზე ხდება. ბლოკების გაუქმებამ და ბარიერის 3%-მდე დაწევამ პირველ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს პროცესში ახალი მოთამაშეების შემოყვანა.

მდგომარეობას ის გარემოება ართულებს, რომ „მეორეხარისხოვანი როლების“ შემსრულებელ პარტიებს გონიერებასთან ერთად არ ყოფნით მოთმინება, ამ პერსპექტივაში უყურონ თავის მომავალს. მათი ფიქრი „დღევანდელ კვერცხზეა“ გადართული და ურჩევნიათ, რაც შეიძლება მალე, რაიმეს გამორჩენის მიზნით, თუნდაც „ნაცებთან“ ერთად, (ანუ, თუნდაც ზნეობრივი კომპრომისის გზით), არიონ სიტუაცია, ვიდრე ნაბიჯ-ნაბიჯ და საფუძვლიანად შეუყვნენ პოლიტიკის ძნელ აღმართს და მხოლოდ თავისი დამსახურებით მოიპოვონ საზოგადოების მხარდაჭერა. საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ რა არის რეორგანიზაცია, თვისებრივი განახლება და პროგრამებისა და გეგმების ახალ რეალობაზე და ახალ გამოწვევებზე მისადაგება, მმართველმა პარტიამ გვაჩვენა ბოლო საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში (2015-2016 წლები) – ახალი სახეები, მაღალი კვალიფიკაცია და ახალი იდეები დღეს „ქართული ოცნების“ საფირმო ნიშანია. ეს პროცესი ახლაც გრძელდება და იგი განახლების პროცესისთვის დამახასიათებელი ხარვეზების გამოსწორებასაც გულისხმობს.

ვფიქრობ, ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების დიდ უმრავლესობას, სამწუხაროდ, განახლების რესურსი თითქმის არ გააჩნია. ისინი ამისთვის მორალურად არიან მობერებული. სამწუხაროდ, მრავალ ობიექტურ მიზეზზე (წინა ხელისუფლებები ყველანაირად ხელს უშლიდნენ პარტიული სისტემის განვითარებას) მეტ პრობლემას სუბიექტური ფაქტორები ქმნიან. კერძოდ, პოლიტიკურ ორგანიზაციათა „ძველი“ ლიდერები ვერ ერევიან თავის უსაფუძვლო ამბიციებს და ყოველმხრივ ბლოკავენ ქვემოდან აქტივობების მცირე გამოვლინებებსაც კი.

აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი კანონის საფუძველზე მიღებული საბიუჯეტო დაფინანსებები, რომელთა განკარგვაც, როგორც წესი, ლიდერთა ერთპიროვნულ გამგებლობაშია მოქცეული. ვისაც ცოდნა და გონიერება ეყოფა, შეიმუშავებს პარტიის განახლების საშუალოვადიან გეგმას მაინც და შანსს სრულად გამოიყენებს. ქართული პოლიტიკური სივრცე კიდევ ორ-სამ ახალ მოთამაშეს ნამდვილად დაიტევს. ვინც არა და...

**მომავალი სავარაუდო პოლიტიკური მოთამაშეების მიმართ ერთი შეგონების უფლებას მივცემდი თავს: შექმნილი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ვიდრე მთავარ ოპოზიციურ ძალად „ნაციონალური მოძრაობა“ რჩება, ქვეყნის ინტერესშია, „ქართული ოცნების“ პოზიციები იყოს გარანტირებულად მყარი. აქედან გამომდინარე, თქვენი ამოცანაა, ჯერ „ნაცების“ სექტა შეავიწროვოთ მეორე პოზიციებზე და უკვე ამის შემდეგ სცადოთ „ოცნების“ მოედანზე შეღწევა. ვინც პირველ ამოცანას 2020 წლისთვის წარმატებით დაძლევს, 2024 წელს იმისი იქნება ასპარეზი.**

დასასრულ, ისევ კონსტიტუციის თემას დავუბრუნდები.

ბოლო „ანტიკონსტიტუციური“ ისტერიკა ჰიპერტყუილებზე აგებული მორალურ-ფსიქოლოგიური შეტევის ხასიათს ატარებდა და ოთხი ძირითადი გზავნილისგან შედგებოდა:

**– ბიძინა ივანიშვილს თურმე მძიმე ავადმყოფობა შეეყარა;**

**– ირაკლი კობახიძეს თანამდებობიდან უშვებენ;**

**– კახი კალაძე თვითონ მიდის;**

**– გიორგი კვირიკაშვილი ემიჯნება ყველას და ყველაფერს!..**

**სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები (და ზოგადად, „ადამიანური ადამიანები“) ასე არ იქცევიან, საზოგადოების ასეთ შეურაცხყოფას არ კადრულობენ!**

საქმე ისე აეწყო, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და შენებისთვის იქნებოდა კარგი და სასურველი:

**– ბიძინა ივანიშვილის ჯანმრთელობას არანაირი საფრთხე არ შექმნია და იგი კვლავინდებურად დიდ იმედად უდგას საქართველოს;**

**– ირაკლი კობახიძე, რასაკვირველია, ინარჩუნებს თავის პოზიციებს და უფრო მეტიც, წარმატებული საკონსტიტუციო პროცესით მცოდნე, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებული და პრინციპული პოლიტიკური ლიდერის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიმყარა;**

**– კახი კალაძე ენერგიულად ემზადება დედაქალაქის მერის უაღრესად პასუხსაგები პოსტის მოპოვებისთვის საჭირო საარჩევნო ბატალიების მოსაგებად;**

**– გიორგი კვირიკაშვილმა, რომლის წინამძღოლობითაც უმნიშვნელოვანესი მიღწევები გვაქვს როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე (განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ევროკავშირთან, NATO-სთან და აშშ-სთან ურთიერთობების ახალ ეტაპებზე გადაყვანა), როგორც ქვეყნის პირველ პოლიტიკურ ფიგურას შეეფერება, 22 ივნისს საბოლოო პასუხი გასცა ყველა კითხვას და ლამაზი ძახილის ნიშანი დასვა მთელი ამ ექვსთვიანი ისტორიული პროცესის დასასრულში.**

ბრავო, „ოცნება“!

განახლებულ-გაკეთილშობილებული კონსტიტუცია პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე თვეში სრულყოფილი საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაში ვიცხოვრებთ, ანუ, შეიქმნა მყარი და ხარისხიანი სამართლებრივი ფუნდამენტი თანამედროვე, მაღალი დემოკრატიის ევროპული სახელმწიფოს ასაშენებლად.

**ოპტიმიზმის საფუძველი აშკარაა და, ქართველებო, მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება!**

**გიორგი ქოზულაძე**

24.06.2017

# უდუმაშვილი აგებს, სამაგიეროდ, პარტია იგებს; ხოშტარია აგებს, პარტიაც აგებს...

**მტერი და მოყვარე გამოკვეთილია. თავისთვის უხმოდ მოჩუჩუნე ხელისუფლება ახალი წინაღობების წინაშე დგას: პრეზიდენტი ცხენიდან ჩამომხტარია, დანები ალესილია და საწამლავი მომარაგებულია. სააკაშვილი ახალ-ახალ ოინებს იგონებს... უიღბლო კვირიკაშვილს ისღა დარჩენია, ხმალი იშიშვლოს და სვანეთში ააჭენოს!**

**მაგრამ არ წავიდეს იქნება საქმე ასე ხოშტარიულად?!**



ქართული ყოფა, ქართული პოლიტიკა ახალ ეტაპზე გადადის — თბილისის მერის არჩევნები, როგორც უკვე ჩანს, ახალი სიტყვა იქნება, შედეგების მიუხედავად, ანუ იმის მიუხედავად, რომ უდავოდ გაიმარჯვებს „ქართული ოცნების" კანდიდატი. ეს კატეგორიული დასკვნა იმის გამო არ შობილა, რომ „თავს ზევით ძალა არ არის". კახი კალაძე, რაკიღა სახელისუფლებო ჯილაა, იმიტომ კი არ არის ფაქტობრივად უკონკურსო, არამედ იმიტომ, რომ ოპოზიციამ მის საპირწონედ როგორც მოსალოდნელი იყო, სერიოზული კონკურენტები ვერ წარმოადგინა.

ვერც წარმოადგენდა და აი, რატომ!

ჯერ, უკვე ვინც ვიცით, იმათზე ვთქვათ.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" აიღო და ხალხს თვალებში ნაცარი შეაყარა — ზაალ უდუმაშვილი წარმოადგინა მომავალ მერად, „ნაცების" ცოფიანმა განაყოფმა „ევროპულმა საქართველომ" კიდევ უარესი — ელენე ხოშტარია.

არა, ბატონო, ასე ვერ გავფრინდებით, როგორც ცხონებული ქრისტეფორე მგალობლიშვილი იტყოდა გარიყულადან.

ოღონდ, ერთი რამ უდავოა: ურმის ბორბალგადავლილ ფუნასავით ორად გაყოფილი „ნაციონალების" ამ ორ კონკურენტს შორის, იმის მიუხედავად, რომ ორივე უიმედოდ უიმედოა საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, უზარმაზარი სხვაობაა: „ორთოდოქსი" ნაციონალების კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი მთელი თავით უგებს „კონკურენტ" ელენე ხოშტარიას, თუმცა გამარჯვების შანსი, როგორც ვთქვით, მასაც არავითარი არა აქვს.

აქ სხვაობა, ანუ უპირატესობა-წამგებიანობა თვით მათ პიროვნებაშია, ის ასრულებს უმთავრეს როლს, გადამწყვეტსა და გადამჭრელს, რაც მთავარია, სამომავლოს თვით მათი წარმომდგენი პარტიებისთვის.

ვინ არის ზოგადად ზაალ უდუმაშვილი?

„რუსთავი-2"-ის სახე — ამ ხალხზე მოძალადე ტელევიზიის წამყვანი და გენერალური დირექტორის მოადგილე. ოღონდ... განსხვავებით თავისი უშუალო უფროსის ნიკა გვარამიასა და კოლეგა გიორგი გაბუნიასგან — გასვრილი არ არის ჩამოურეცხავი პოლიტიკური ტალახით, რაც მთავარია, იმ გვარამიასა და გაბუნიასავით ხალხს არ სძულს. ეს კი ცოტა არ არის!

სწორედ ეს აკლია ელენე ხოშტარიას. მისი თაბაშირის ნიღაბივით ერთ თარგზე გაყინული სახე და გაყინული გულიდან ამოხეთქილი უკულმართი აზრები, მსმენელის ღმუილს იწვევს. მის დანახვაზე ძალაუნებურად ამოგიტივტივდება ცნობილი ფუნაგორია: „ხოშტარია ხომ შტერია!.. „მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. „ევროპულმა საქართველომ" დიდი შეცდომა დაუშვა, როცა თავისი წევრ სხვა ცოფიანებში მაინცდამაინც კლასიკური ცოფიანი ელენე წამოსწია. აქედან დასკვნა: ბოკერიას, უგულავას თუ რურუას პოლიტიკურ ნამყენთაგან მხოლოდ ელენე ხოშტარია შეირჩა. იქნებ უფრო მომგებიანი ყოფილიყო ვინმე პატიოსანი მეურნე კაცის გამოძებნა, არა მაინცდამაინც იმ სანეხვიდან, რომელსაც „ევროპული საქართველო" ჰქვია, არამედ გარედან, ოღონდ ღირსეული პიროვნებისა, რომელსაც აბრა გამოარჩევდა: „ევროპული საქართველოს კანდიდატი".

მით უფრო, რომ ასეთი კაცის შერჩევა ვერა და ვერ ხერხდება მშობლიურ უწმინდურ ბუნაგში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა გონებრივი სილატაკეცაა იმ ბუნაგში.

აი, მიხეილ სააკაშვილმა კი ეს გაითვალისწინა და მერობის კანდიდატად, მაგალითად, გიორგი ბარამიძე კი არ შეარჩია, რომელსაც ბუმბული დალაქავებული აქვს სხვადასხვა საეჭვო წარმოშობის ლაქით და საზოგადოებას მისი სახელის წარმოთქმისას ტყემალნაჭამივით ელმიჭება სახე, არამედ ყოვლად უვნებელი ზალიკო, რომელიც არჩევნებში ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ ამ პროცესის დასრულების შემდეგ საზოგადოებას დარჩება განცდა, რომ ყველასთვის მოულოდნელად, „ნაციონალურმა მოძრაობამ" თავის კანდიდატად დაასახელა პოლიტიკური წუმპისგან მეტ-ნაკლებად გაუსვრელი კაცი და... რომ „ნაციონალურ მოძრაობას" შეუძლია ასე მოქცევა, რადგან მისთვის მთავარია იდეა და არა, მაინცდამაინც გამარჯვება.

ოღონდ საერთოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მერობა ზალიკოს ისე უნდოდა, როგორც ზღარბზე დაჯდომა. მას ყველაფერს ის ერჩივნა, იქ სიცოცხლე ეცლიათ, სადაც იყო, ალალ და უსაყვედურო პურს ჭამს. მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმეს განა?" საჭირო გახდა მსხვერპლის სახით მისი მერად წამოწევა და „ნაციონალთა რიგითმა უხმაურო ჯარისკაცმა, „დაწინაურებაზე" უარი ვერ თქვა და თავი გადადო.

ეს გათვალა მიშა სააკაშვილმა (მას შეუძლია ასეთი ზუსტი გათვლები, თუ მოინდომა) და სწორი სამომავლო ნაბიჯი გადადგა, რაც ბოკერიამ ვერ მოახერხა (ვერც მოახერხებდა თავისი ქაჯური რადიკალიზმის გამო) და ფსონს ჩამოვიდა თვის ტყუპისცალ „მადამ ვონგზე"! მაინც რა იფიქრა, რითი მოხიბლავს ეს კაბიანი მეკობრე ამომრჩეველს, თავისი თავანკარა ბრიყვული კატეგორიულობით თუ ყელში ამოსული ნაციონალური იდეების უცვლელობით?

**ჩაისვრის კანდიდატი (ნაციონალთა ორივე ფრთისა) არჩევნებში და მთელი ოპოზიციური ლაშქარი სტრასბურგს მიაშურებს — არჩევნები გააყალბესო. მაგრამ ოდესმე ხომ გაგრილდება გაცხელებული თავები და დაისმება კითხვა, ზალიკომ კახი კალაძესთან კი წააგო, მაგრამ ასე მწარედ როგორ მოუგო ელიჩკასო?** და აღმოჩნდება, რომ წაგებულმა ზალიკომ არჩევნებში საერთოდ მეორე ადგილი მოიპოვა. ეს კი სულაც არ არის ცუდი საერთო ანგარიშით: ე.ი. „ნაცმოძრაობა" ცოცხლობს და „ვითარდება", შეუძლია ახალი აზრების, ახალი ტაქტიკური სვლების მოფიქრება! ეს კი ამ პარტიისთვის სამომავლო, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**ამრიგად, წააგებს უდუმაშვილი, მოიგებს პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"; წააგებს ხოშტარია, წააგებს „ევროპული საქართველო", ძალიანაც კარგი!**

რაც შეეხება ალეკო ელისაშვილის დამოუკიდებელ კანდიდატურას, რა თქმა უნდა, ესეც ყოვლად უიმედო ჩალიჩი იქნება,. რითი უნდა მოგვხიბლოს ამ ნიადაგ უბედური ნარმანიას რქენიაღრენია-კბენია ოპონენტმა?! ის, რომ არსებულის შეურიგებელი ოპოზიციაა, არ კმარა. რა უდევს რატომღაც ცარიელის შთაბეჭდილების მქონე თავში? რევოლუციური აზრები? ვის რაში არგია მისი რევოლუცია და ჩერნიშევსკისეული ერთადერთი მოწოდება — „ხელები ნაჯახს, ამხანაგებოო"?!

ჯერ ერთი, აღარავის არ უნდა ნაჯახისთვის ხელის ტაცება, კმარა, რაც ვიქნიეთ და ვჩეხეთ, მეორეც, რომც დავჩეხოთ, მერე მოდგება ელისაშვილი და ააშენებს? მეტი არაა ჩვენი მტერი. ეს იცის საზოგადოებამ და იმავე ელისაშვილს ურჩევს ის საქმე გააგრძელოს, რასაც, სხვათა შორის, მშვენივრად უძღვებიან. ისიც და მისი მეუღლეც — ტურისტული ტურები თბილისის ისტორიულ უბნებში.

ეგ კია, ელისაშვილი, უდუმაშვილისა არ იყოს, საზოგადოებაში ხოშტარიასგან განსხვავებით, აგრესიას არ იწვევს.

ოღონდ ის კია, რომ დროის მსვლელობის კვალდაკვალ, ფინიშამდე უდუმაშვილმა ვაითუ თანდათან დაკარგოს აქამდე არსებული „ხიბლი" და ჩვეულებრივ ნაციონალად ჩამოლაბორანტდეს.. მაგალითად, გუშინ, საჯარო გამოსვლისას, ზალიკომ როგორც მერობის კანდიდატმა, იმდენი იტრაბახა, ქვეყანას წუმპიდან ამოვათრევო, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატს, თანაპარტიელ ნიკანდრო მელიას თავზე თმა რომ ჰქონოდა, ყალყზე დაუდგებოდა. ერთი სიტყვით, იმ ტრაბახით ზალიკომ თავი გაიმხნევა და თან, ყოველი შემთხვევისთვის, შარვალზეც ხელი მოისვა, ხომ არ ჩავისვარეო.

**ამასობაში ჩვენი პრეზიდენტი სულ წავიდა ხელიდან!**

აიღო და თავფეხიანად გადაბარგდა ოპოზიციაში, ისე რომ, უკან არც მოუხედავს. ერთი ისღა დარჩა, რომ სტრასბურგში განცხადება აფრინოს, მიშველეთ, კონსტიტუციაში პრეზიდენტის პირველკაცობა აღარ ჩაწერეს, ანუ ხალხით აღარ ამირჩევენო, მთავარსარდლის ცხენიდანაც ჩამომსვეს, ამირსპარსალარად დაბადებული და სულით ხორცამდე ხმლისა და დურბინდის მოყვარული კაციო.

ერთი სიტყვით, თავში მყარად ჩაიდო, გინდა თუ არა პრეზიდენტი ვიქნები, არა მარტო მეორე, არამედ მეშვიდე ვადითაცო და იმ მეორე ვადისთვის მოედნის მოსუფთავებას შეუდგა მგზნებარე გულმოდგინებითა და მთელი „საპრეზიდენტო ლაშქრით" — საკუთარი ადმინისტრაციითა და მას მიტმასნილი მავნე ოპოზიციით.

ჰოდა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ენაც გაიმწარა და აზრებიც. ჯერ იყო და თავისი ოჯახის ყველა ახლობლისა თუ შორებლის ნებისმიერი სირეგვნის უაპელაციოდ გამოსარჩლება დაიწყო, რაც მთავარია, საპრეზიდენტო ბეჭდით დაამოწმა, რასაც კი ჩემი ახლობლების ახლობლებს და იმით ახლობლებს აბრალებენ, სულ ხელისუფლების ოინებია ივანიშვილის ჩაწოდებითო. ჰოდა, იბრძვის ბატონი გიორგი მარგველაშვილი თავისი ახლობლებისა და იმათი ახლობლების საკეთილდღეოდ და სამომავლო პირველკაცობისთვის (თუმცა ხვალ-ზეგ რომ საქართველოში პრეზიდენტი პირველი კაცი აღარ იქნება, მშვენივრად იცის).

ასე და ამრიგად, ვითომ პირველი კაცი მართლა პირველი კაცის უკვე ნამდვილად შემდგარი, გამოკვეთილი მტერია. თუმცა ეს რომ ასე მოხდებოდა, თავიდანვე ადვილი მისახვედრი იყო, როცა ბატონი გიორგი ჩვენმა წყლის ამღვრევაში დაოსტატებულმა პრესამ, იოლად დაარწმუნა, რომ ის ისეთივე რანგის პრეზიდენტი იყო, როგორებიც შევარდნაძე და სააკაშვილი იყვნენ, თუმცა არჩევისას პირველკაცობის გარანტია მისთვის არავის მიუცია (პირველი კაცი პრემიერ-მინისტრი უნდა ყოფილიყო!): უძახეს „სახელმწიფოს პირველი პირი", მის მეუღლეს — „პირველი ლედი" და კაცის გადარევას რა უნდა, მით უფრო, რომ თვითონ მას ძალიან სურდა პირველკაცობა.

ასე და ამრიგად, მტერი და მოყვარე გამოკვეთილია. თავისთვის უხმოდ მოჩუჩუნე ხელისუფლება ახალი წინაღობების წინაშე დგას: პრეზიდენტი ცხენიდან ჩამომხტარია, დანები ალესილია და საწამლავი მომარაგებულია. სააკაშვილი ახალ-ახალ ოინებს იგონებს... უიღბლო კვირიკაშვილს ისღა დარჩენია, ხმალი იშიშვლოს და სვანეთში ააჭენოს!

მაგრამ არ წავიდეს იქნება საქმე ასე ხოშტარიულად?!

**ალეკო ასლანიშვილი**

# „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“...

## ვეხმაურები ვაჟა ჟღენტის სტატიას – „პუტინის ნათქვამს ჭეშმარიტებად ნუ მივიჩნევთ“

**21 ივნისს „საქართველოს რესპუბლკაში“ დაიბეჭდა ბატონ ვაჟა ჟღენტის სტატია“ – „პუტინის ნათქვამს ჭეშმარიტებად ნუ მივიჩნევთ“. ბატონი ვაჟა ჩვენი ქალაქიდან ყოფილა. სამწუხაროდ, მას პირადად არ ვიცნობ. რამდენიმე წელიწადია, სარეცელს ვარ მიჯაჭვული და საზოგადოებასთან ნაკლებად ვკონტაქტობ. „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი ვარ, მასში დაბეჭდილ მნიშვნელოვან სტატიებს წაუკითხავს არ ვტოვებ. ვაჟა ჟღენტის სტატია, რაც აზერბაიჯანელ ჟურნალისტს ეხებოდა, ხოლო ეს სტატია, რომელსაც მეც ვეხმაურები, მართლაც გამორჩეულია. მითქვამს და ამჟამადაც გავიმეორებ – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ქართული პრესის ავანგარდში დგას, რომელიც თავის გვერდებს ხშირად სერიოზულ ავტორებს უთმობს. არ მსურს, დავასახელო რიგი გაზეთებისა, რომელთა არსებობას ქართველი ერი არ უნდა ითმენდეს. ეს გაზეთები, რასაკვირველია, მუდამჟამს ჭორებს ავრცელებენ, რაც ქვეყანას არცხვენს და უკან ექაჩება.**




პუტინის ნათქვამს ჭეშმარიტებად ნუ მივიჩნევთ!

ჟღენტის ხსენებულ სტატიაში რამდენიმე ფრაზითაა გადმოცემული რუსეთ-საქართველოს ომის პერიპეტიები. გასაგებად რომ ვთქვა, ეს სტატია გასაღებია, ფორმულაა ამ მოვლენების ანალიზისა და იქიდან სწორი დასკვნების გაკეთებისთვის. აგერ უკვე 9 წელი გადის ამ სამარცხვინო ომიდან, როგორც პუტინის, ასევე სააკაშვილისთვის და არც ერთ ექსპერტს, კონფლიქტოლოგ სპეციალისტს მსგავსი ლაკონური, კონკრეტული, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი არ გაუკეთებია. ბატონ ვაჟას სააკაშვილი და მისი მომხრეები კედელთან ისე ჰყავს მიყვანილ-მიჭყლეტილი, რომ ნაცებს ყოველგვარ თავის მართლების საშუალებას უსპობს, ამის შემდეგ მათ ისღა დარჩენიათ, ფარ-ხმალი დაყარონ! ვისაც ეს სტატია არ წაუკითხავს, წაიკითხოს და ყველაფერში დამეთანხმება.

სტატიას დასკვნაც შესანიშნავი აქვს – სააკაშვილი ქვეყნის შავი ლაქაა, ხოლო მისი მხარდამჭერები უიმედოდ გაბრიყვებული ადამიანები არიან.

ხსენებულ სტატიას ვერაფერს დავუმატებდი, თუმცა მკითხველს მაინც შევახსენებ სააკაშვილის „მმართველობის“ პერიოდში რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა ქვეყანაში და, როდესაც მას დღესაც მხარდამჭერები ჰყავს – ეს ჩვენი საზოგადოების ბრალია, რომელმაც სათანადოდ ვერ ახსნა სააკაშვილის დანაშაულობანი, მისი სულიერი, მორალური გახრწნილობა და გონების ატროფია.

რასაკვირველია, საზოგადოების მამოძრავებელი ძალა ინტელიგენციაა, კონკრეტულად – მეცნიერები, რომლებიც დუმდნენ, როდესაც პერესტროიკის დროს პოლიტიკური სარბიელი მთლიანად დაიპყრეს პოლიტიკურად ბეცმა, სახელის მაძიებელმა კარიერისტებმა, რომლებმაც ქვეყანა დააქციეს და დაანელეს. ეს ჩვენი „სახელოვანი აკადემიკოსები“ მაშინაც დუმდნენ, როდესაც ეს თაღლითი სააკაშვილი თავისი ბანდით ხელისუფლებაში მოსვლას აპირებდა, მისი მოსვლის შემდეგაც დუმილის პოლიტიკა აირჩიეს, ამჟამადაც დუმან, როდესაც ხსენებული თაღლითები ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ.

ვაღიაროთ, ჩვენს ქვეყანას, თუ სამედიცინო ტერმინს გამოვიყენებთ, გონიერების უკმარისობა სჭირს, ამიტომ საჭიროა, მთელი ყურადღება გადავიტანოთ ხალხის პოლიტიკურ, შემეცნებით განათლებაზე.

ქვეყანაში ახლა უამრავი მოვლენა ხდება, საჭიროა ამ მოვლენების სწორი ანალიზი და აგრეთვე სწორი დასკვნების გაკეთება. ამ დროს მოვლენის გაშუქებაში ვერავინ დაგვეხმარება, საკუთარი ტვინი ისე უნდა გვქონდეს მოწყობილი, რომ ვინმეს დაუხმარებლად შეგვეძლოს ამ მეტად რთული საქმის შესრულება, აღსრულება.

ზოგი ქართველი ცრუმეცნიერი მეტად სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს. მაგალითად, სურს, გაარკვიოს, რა უფრო მოსახერხებელია ხის მოსაჭრელად – ხერხი თუ ნაჯახი. ამ გაწამაწიაში რომ არის, მოჰყავს ციტატები ნიცშეს, ჰეგელის და სხვათა ნაშრომებიდან. ამით მას სურს, გულუბრყვილო მკითხველების წინაშე მცოდნე ადამიანად წარმოაჩინოს თავი.

ზოგი იმასაც ამბობს, რომ მინისტრს არ უნდა ჰქონდეს აკადემიკოსზე მეტი ხელფასიო. რასაკვირველია, ჩვენისთანა ღარიბ ქვეყანაში მინისტრის ხელფასი დიდია, მაგრამ იმის თქმა, რომ აკადემიკოსს მეტი ხელფასი უნდა ჰქონდესო, ვფიქრობ, არასწორი განსჯაა. ჯერ ერთი, აკადემიკოსი რომ ამ სახელს ატარებს, მხოლოდ მასში იღებს 1000 ლარს. პენსია, თანამდებობა და მისი სამეცნიერო თემაზე მუშაობა კიდევ სხვა შემოსავალს აძლევს. თუმცა მათ ხშირად არ ძალუძთ ძნელბედობის ჟამს, როგორც ზემოთ ვთქვით, ორი მნიშვნელოვანი სიტყვა შეაწიონ სამშობლოს.

ისე, ნაპოლეონი ამბობდა: პირს, რომელსაც მინისტრად დავნიშნავთ, ოთხი წლის შემდეგ თავისი ფეხით ტუალეტში შესვლას ვერ უნდა ახერხებდეს. სხვა საკითხია,თუ ზოგი მინისტრი ზარმაცია, თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. ასე რომ, მინისტრის მუშაობა ნაკლებად დასაფასებელი არაა.

საღად მოაზროვნე და მოვლენების სწორად გამჭვრეტი ადამიანები სანთლით საძებარნი არიან, ამიტომ გაზეთებმა მათ თავიანთი ფურცლები მომეტებულად უნდა დაუთმონ, როგორც ამას აკეთებს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, წინააღმდეგ შემთხვევაში ფართო გასაქანი მიეცემა, როგორც უახლოეს წარსულში იყო – უმეცრებას, სიბრიყვეს, თაღლითობას, თავხედობას და ყოველგვარ უარყოფითს.

როგორც იტყვიან, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ამიტომ საჭიროა ქართველი ხალხის ერთსულოვნება და საერთო ძალისხმევით უგუნურობის დამარცხება – ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის...

**ელისაბედ ტლაშაძე**
**დამსახურებული მასწავლებელი, პენსიონერი**

## სად მალავდა გიორგი მამალაძე საწამლავს?

**... ბრალდებულს სურდა საკუთარი ხელით გაეხსნა „დეზოდორი“, სადაც მალულად ჰქონდა ციანიდი და ისე დაემალა, რომ გამოძიებას ვერ ენახა. თუმცა მას შემთხვევით დაუვარდა ის და ეს მოწმეებმაც დაინახეს, – განუცხადა ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა სასამართლოს სხდომაზე შესვენების გამოცხადების შემდეგ.**



„მოწმეების, კერძოდ, აეროპორტის საბარგო განყოფილების მესაზღვრეების თანდასწრებით დაილუქა ბარგი და მათივე თანდასწრებით მოხდა უკვე ამ ბარგის გახსნა პროკურატურაში. მათ დაადასტურეს, რომ ბარგში მომწამვლავი ნივთიერება – ციანიდი აღმოჩნდა. კერძოდ, თავად ბრალდებულმა ამოიღო „დეზოდორი“, რომლის თავსახურში ჰქონდა ფარულად დამალული საწამლავი. ბრალდებულს სურდა, დაემალა ისე, რომ გამოძიებას ვერ ენახა, თუმცა მას დაუვარდა თავსახური და ყველამ დავინახეთ ციანიდი. ეს საკუთარ ჩვენებაში მოწმეებმაც აღნიშნეს“, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

## „ფულის ყულაბა“ თუ პარკირების მოწესრიგება?

**ქალაქ ზუგდიდის საკრებულოში კვლავ დავის საგნად იქცა პარკირების საკითხზე მერიის მიერ შეტანილი წინადადება. ოპოზიციისთვის მიუღებელია მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, 10 წლით გასხვისება. საკრებულოს უმცირესობის მტკიცებით, თავდაპირველი ვარიანტით უნდა შექმნილიყო შპს, რომელიც დაარეგულირებდა აღნიშნულ პრობლემას, თუმცა დღეს ეს პირობები შეიცვალა.**

„პრობლემები არის იმასთან დაკავშირებით, რომ ვიცე-მერი გია გულორდავა და გუბერნატორი ლევან შონია ცდილობენ, თავიანთი ბიზნესინტერესები გაითვალიწინონ ამ ტრანსპორტის სფეროში. გარდა იმისა, რომ მათ საკრებულოს ეს წინადადება იძულებით მიაღებინეს, გაამარჯვებინებენ იმ კომპანიას, რომელიც თავად უნდათ, რომ მოაწყობინონ ქალაქში პარკირების სისტემა“, **– განაცხადა ანა წითლიძემ.**

მერიის წინადადების წინააღმდეგი იყო „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ბათლომე შელიაც. მისი თქმით, ის, რაც დღეს კეთდება, „ფულის ყულაბაა ვიღაცისთვის“ და რეალურად აღნიშნული ცვლილება პარკირების პრობლემას ვერ მოაწესრიგებს.

„მოქალაქეებისგან უნდა ამოვიღოთ ფული, ამ ყულაბაში უნდა ჩავყაროთ. წილს მოგვცემენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, დანარჩენს თვითონ წაიღებენ და არანაირი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული პარკირების მოსაწესრიგებლად. როგორ მოაწესრიგებს ამ საკითხს? მხოლოდ დახაზავს თეთრი ხაზით და ვინც დააყენებს მანქანას, იმისგან ფულს ამოიღებს“, **– განაცხადა ბათლომე შელიამ.**

პრეტენზიების პასუხად უმრავლესობაში აცხადებენ, რომ აუქციონის გამოცხადება ყველა მსურველს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს ამ პროცესში, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს რომელიმე მონაწილის მიმართ მიკერძოებას:



„ვინმე კონკრეტული პირისთვის რომ მიგვეცა პარკირების სისტემა, მაშინ იქნებოდა მიკერძოება. საკრებულო იმისთვის არსებობს, რომ ჩადოს შესაბამისი პირობები. ჩვენ ავირჩიეთ მეორე გზა: აუქციონში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ერთსაც, მეორესაც და ყველას, ვისაც სურვილი აქვს“, **– განაცხადა თაზო ფაცაციამ.**

მისი პოზიცია გაიზიარა ვიცე-მერმა გია გულორდავამ ჟურნალისტებთან საუბრისას. ვიცე-მერმა თავისი ან რომელიმე საჯარო პირის კერძო ინტერესების არსებობა ამ საკითხში გამორიცხა.

„შპს რომ გაგვეკეთებინა, უნდა გამოყოფილიყო ბიუჯეტიდან თანხები და უნდა შეგვექმნა რაღაც ორგანიზაცია, რომელსაც ექნებოდა ეს ფუნქცია. დაჯარიმების უფლება ჩვენ არ გვაქვს, არც მოსაკრებლის. როგორ უნდა ამოგვეღო ჩვენ ეს თანხა, ბიუჯეტიდან გასული თანხა როგორ დაგვებრუნებინა სახელმწიფოსთვის, ან მოგებაზე როგორ უნდა გვემუშავა? ეს იყო აბსოლუტურად წარმოუდგენელი, მცდარი ნაბიჯი, რომელიც გავიარეთ იურისტებთანაც, სათანადო გამოცდილების მქონე ქალაქებთან და არსად არ გაამართლა ამ ნაბიჯმა“, **– ამბობს გია გულორდავა.**

ტერიტორიები – 32 მიწის ნაკვეთი – პარკირებისთვის უკვე გამოყოფილია. ის 900-მდე ავტომანქანაზე იქნება გათვლილი. პარკირების საკითხის განხილვას საკრებულოს ადრე გამართულ სხდომებსა და შეხვედრებზეც მოჰყვა დაპირისპირება.

**თამარ ზანთარაია**

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# რესურსიც გაგვაჩნია

**ივნისის ტესტები არგენტინაში მარცხით დავასრულეთ, მაგრამ „პუმებთან“ წინა ოთხი წაგებისგან განსხვავებით, ამჯერად მრისხანე მეტოქესთან ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოვიჩინეთ და მეორე ტაიმი მოვიგეთ კიდეც. ზოგი ჩაიქირქილებს, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სამხრეთამერიკელებმა სარბიელიდან თავიანთი ლიდერები გაიყვანეს და სწორედ ამის შემდეგ მოგვეცა კატასტროფული სხვაობის — 3:45 შემცირების შესაძლებლობაო, მაგრამ, ჯერ ერთი, მასპინძლებს ერთბაშად ოთხი ლელო დავუდეთ და მეორეც — ვერცხლის ქვეყანაში უძლიერესი შემადგენლობით არც ჩვენ ჩავსულვართ — საილუსტრაციოდ მხოლოდ „ბორჯღალოსანთა“ სულისა და გულის მამუკა გორგოძის მიერ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ ახლახან გაკეთებულ განცხადებას დავასახელებთ.**

**არგენტინა-საქართველო 45:29.**
**პირველი ტაიმი 26:8**

ობიექტურნი არ ვიქნებით, თუ დანიელ ურკადის გუნდის მორიგი წარმატების საიდუმლოზეც არ დავასველებთ სიტყვას, რომელიც, კაცმა რომ თქვას, საიდუმლო აღარცაა, რადგან სარაგბო თემში ყველამ კარგად იცის, რომ სისწრაფე, აგრესიულობა, შეტევის ორგანიზება და ტაქტიკური მონახაზი ის კოზირებია, რომლითაც „თეთრ-ლურჯზოლიანები“ არამარტო მილტონ ჰეიგის შეგირდთაგან, არამედ მათზე ძლიერთაგანაც გამოირჩევიან. თუმცა, ვიმეორებთ, — რესურსი ჩვენც გაგვაჩნია!




**დანიელ ურკადი:** „ვიცოდით, რომ მძიმე მატჩი გველოდა, ამიტომ საქმეს თავიდანვე სერიოზულად მივუდექით და მაღალი სისწრაფეები ჩავრთეთ, თუმცა, შემდეგ ეს სისწრაფე დავკარგეთ და მეტოქემ საკუთარი სათამაშო სტილი მოგვახვია თავს — ისეთი, როგორშიც ის ძალიან კომფორტულად გამოიყურება. მოკლედ, შეხვედრის ბოლო წუთებმა მწარე გემო დაგვიტოვა. მე-60 წუთამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, რასაც ვერ ვიტყვი დასკვნით 20 წუთზე. არადა, თამაში 80 წუთი გრძელდება“.

**ივნისის დანარჩენი ტესტების შედეგები:** ახალი ზელანდია-ბრიტანელი ლომები 30:15, სამოა-უელსი 17:19, ავსტრალია-იტალია 40:27, იაპონია-ირლანდია 13:35, სამხრეთი აფრიკა-საფრანგეთი 35:12, კანადა-აშშ 28:28, ფიჯი-შოტლანდია 27:22, რუმინეთი-ბრაზილია 56:5.

**კობა კობახიძე**

◉ ჭადრაკი

# სასწაულის იმედად

**რუსულ ხანტი-მანსიისკში ახალი გუნდური მსოფლიო ჩემპიონი დაიბადა. სამწუხაროდ, აწი საქართველოს ნაკრებს წინსართი — ექს დაემატება, არადა, დასვენების დღემ ჩვენს დიდოსტატ ქალბატონებზე დადებითად იმოქმედა და საპატიო კვარცხლბეკზე ასვლის შანსიც გამოჩნდა.**

თავად განსაჯეთ — მე-6, მე-7 და მე-8 ტურებში „ჯვაროსნებმა“ ვიეტნამელებს — 3:1, აზერბაიჯანელებს — 3:1, ფავორიტ უკრაინელებს — 2,5:1,5 სძლიეს და წამყვან ხუთეულში დაიჯავშნეს ადგილი. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინსვლაც არაა გამორიცხული, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული.

**ლიდერთა ჯგუფი:** რუსეთი — 14, უკრაინა — 12, ჩინეთი — 11, საქართველო, ინდოეთი — 10-10 ქულა.



**ბოლო ტური:** საქართველო-აშშ, რუსეთი-უკრაინა, ჩინეთი-ეგვიპტე, აზერბაიჯანი-ინდოეთი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ტაბლო

## ფეხბურთი

**კონფედერაციათა თასი. ნახევარფინალში ითამაშებენ: პორტუგალია-ჩილე (ხვალ), გერმანია-მექსიკა (ზეგ).** გერმანელთა თავკაცმა იოაჰიმ ლიოვმა 150-ე მატჩში მე-100 მოიგო.

**21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალში ითამაშებენ:** ინგლისი-გერმანია, ესპანეთი-იტალია (დღეს).

## ჩოგბურთი

ATP. **ჰალე. ფინალი.** ფედერერი-ზვერევი 2:0. ეს როჯერის 92-ე ტიტულია. **ლონდონი. ფინალი.** ლოპესი — ჩილიჩი 2:1.

WTA. **ბირმინჰემი. ფინალი.** კვიტოვა-ბარტი 2:1.

**მალიორკა. ფინალი.** სევასტოვა-გერგესი 2:1.

## კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი.**
ესპანეთი-საფრანგეთი 71:55.

## ფორმულა 1

**აზერბაიჯანის გრან-პრი. პოდიუმი.** დანიელ რიკირდო (ავსტრალია, „რედ ბული“), ვალტერი ბოტასი (ფინეთი, „მერსედესი“), ლენს სტროლი (კანადა, „უილიამსი“).

**ლიდერთა ჯგუფი.** სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ფერარი“) — 153 ქულა, ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მერსედესი“) — 139 ქულა, ბოტასი — 111 ქულა.

**კონსტრუქტორთა თასი.** „მერსედესი“ — 250 ქულა, „ფერარი“ — 226 ქულა, „რედ ბული“ — 137 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

◉ დაუვიწყარი სახელი



# ყველგან და ყოველთვის — საიმედო

## გივი ჩოხელი — 80

**ქართული ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი 1960 წელი — 57 წლის წინათ ევროპის პირველი ჩემპიონატი მოიგო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ოქროს მედლები ქართველმა ფეხბურთელებმა — მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა და გივი ჩოხელმაც დაიმსახურეს.**

1960 წლის 10 ივლისს პარიზში — „პარკ დე პრენსზე“ საბჭოთა ფეხბურთელები ფინალურ მატჩში იუგოსლავიელებს დაუპირისპირდნენ. სამხრეთ სლავების ლიდერი ბროზ ტიტო, რომელსაც საბჭოთა კავშირი გულზე არ ეხატებოდა, თავის ფეხბურთელებს, ჩემპიონობის შემთხვევაში, მსუბუქ ავტომანქანებს, მიწის ნაკვეთებსა და ევროპის ნებისმიერ კლუბში თავისუფალ გადასვლას შეჰპირებია. მათაც თავი არ დაუზოგავთ. პირველ ტაიმში შესანიშნავი იუგოსლავი ფეხბურთელის — გალიჩის დარტყმული ბურთი იგორ ნეტოს მოხვდა და რიკოშეტით ლევ იაშინის კარში აღმოჩნდა. კოკისპირული წვიმა შესვენების შემდეგაც არ შეწყვეტილა. 49-ე წუთზე ვალენტინ ბუბუკინმა შორიდან დაარტყა, სველი ბურთი მეკარე ვიდინიჩს ხელიდან გაუვარდა, საჯარიმოში ყველას სლავა მეტრეველმა დაასწრო და წონასწორობა აღადგინა — 1:1. ძირითადი 90 წუთიც ასე ამოიწურა. დაინიშნა დამატებითი დრო. დაიწყო 113-ე წუთი. იაშინისგან ბურთი გივი ჩოხელმა მიიღო, მან კი სლავა მეტრეველს მიაწოდა, მარცხენა ფრთაზე წინ გაიჭრა მიხეილ მესხი და ბურთი მეტოქის საჯარიმო მოედანზე თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ჩააწოდა. ვიქტორ პონედელნიკს აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გამარჯვების გოლი გაეტანა.

დიახ, ევროპის ჩემპიონობის მოპოვებაში დიდი წვლილი საბჭოთა ნაკრების მარჯვენა მცველ გივი ჩოხელსაც მიუძღვის. 1937 წლის 27 ივნისს დაბადებულმა ჭაბუკმა საფეხბურთო კარიერა თელავის „ნადიკვარში“ დაიწყო, როგორც თავდამსხმელმა. 1956-1963 წლებში თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდა. საკავშიროზე პირველად 1957 წლის 6 აპრილს ითამაშა მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ. ცნობილი საფეხბურთო მიმომხილველი ალექსანდრ ვიტი წერდა: „საქართველოს საფეხბურთო ქვეყანას უწოდებენ. ეს სწორი მტკიცებაა. მას დაზუსტება სჭირდება — საქართველო ფორვარდების ქვეყანაა, მაგრამ ამ სეზონში ქართულ ფეხბურთში გამოჩნდა ჩინებული მცველი — გივი ჩოხელი“. ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში 159 მატჩი ჩაატარა და ოთხი გოლი გაიტანა. 1959 და 1962 წლების პირველობების ბრინჯაოს პრიზიორმა და 1960 წლის საკავშირო თასის გათამაშების ფინალისტმა 1960-1962 წლებში 19-ჯერ ჩაიცვა საბჭოთა ნაკრების მაისური. 1960 წლის ევროპის თასის მფლობელი 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი და ფინალური ტურნირების მონაწილეა. ოთხჯერ 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში დაასახელეს. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ 1966-1968 და 1971-1972 წლებში იყო თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, 1969-1970 და 1974 წლებში - უფროსი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 1969 წელს საკავშირო ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი სსრკ თასის ფინალში ითამაშა. 1984-1985 წლებში გივი ჩოხელი თბილისის„დინამოს“ გუნდის უფროსად მუშაობდა. 1993 წელს თელავის სტადიონს მისი სახელი მიენიჭა, ხოლო ორი წლის შემდეგ — 27 ივნისს სტადიონის შესასვლელთან სახელოვანი მცველის ძეგლი დაიდგა.

**ვალენტინ ბუბუკინი** 2003 წელს გამოცემულ წიგნში 60-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთს იხსენებს. გთავაზობთ ერთ ამონარიდს: „ჩვენს გუნდში ერთბაშად რამდენიმე ქართველი მოვიდა — ჩოხელი, მესხი, მეტრეველი, რომლებმაც საბჭოთა ნაკრებს ელეგანტურობა შესძინეს. მოსკოველ ხისტ მცველებს შორის გამოჩნდა ტექნიკური და კეთილი ქართველი გივი ჩოხელი, რომელიც შესანიშნავად თამაშობდა თავით, მომენტალურად გრძნობდა პასს, მოედანს მიღმა კი მახვილი იუმორით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდა“.

დიახ, გივი ჩოხელი გახლდათ პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში ანატოლი მასლიონკინსა და ანატოლი კრუტიკოვთან ერთად დაცვის ბურჯად იდგა. მანამდე ჩვენ მხოლოდ თავდამსხმელებით ვამაყობდით. დიდი საფეხბურთო ერუდიცია და ტაქტიკური ალღო მას საშუალებას აძლევდა რაციონალურად ეთამაშა დაცვის ცენტრში, ხოლო როცა ფლანგებზე გადადიოდა, აქტიურად დახმარებოდა ფორვარდებს.

1965 წელს გაზეთ „ლელოში“ დაიბეჭდა ერთი გულშემატკივრის წერილი, რომელიც 1962 წლის 28 აპრილის მატჩს იხსენებს. იმ დღეს მოსკოვში, ლუჟნიკების ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა ნაკრებმა ურუგვაის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა: „ბურთი ურუგვაელ კუბილას აქვს. პრესაში იმდენი წერეს ამ კუბილაზე, რომ გადაჭედილ ტრიბუნებს აცახცახებს მის დანახვაზე. კუბილა ჩოხელის მხრიდან უტევს. გივი ნელა იხევს უკან. ურუგვაელიც ნელა მიიწევს წინ, მე-




რე თითქოს წამით ჩერდება, მაგრამ მაშინვე წყდება ადგილს და მთელი სტადიონი ფეხზე დგება. ერთი ქომაგი მეორეს მხარზე ხელს უთათუნებს და ამშვიდებს — დაჯე, ნუ გეშინია, იქ გივი ჩოხელია... მართლაც, ტრიბუნებმა შვებით ამოისუნთქა“.

ყველგან და ყოველთვის ეიმედებოდათ დიდი პროფესიონალი და უღალატო მეგობარი გივი ჩოხელი, რომელიც 56 წლისა 1994 წლის 25 თებერვალს გარდაიცვალა.

დღეს, 27 ივნისს, სახელოვან ფეხბურთელს 80 წელი შეუსრულდებოდა.

**ვაჟა დანელია**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
